Conflict Resolution and Peacebuilding Historical Archive of Georgia, by ICCN

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისის ხელმძღვანელობა:

დავითაია პაატა - თავმჯდომარე

წევრები

1. **გაბაშვილი გიორგი**
2. **გოგორიშვილი ხათუნა**
3. **გოგუაძე გია**
4. **ვეფხვაძე ლევანი**
5. **თარგამაძე გიორგი (გივი)**
6. **თედორაძე რამაზი**
7. **ლალიაშვილი ნიკოლოზი**
8. **ლორთქიფანიძე დიმიტრი**
9. **მინაშვილი აკაკი**

2008-10-25 19:47

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის 2008 წლის 25 ოქტომბრის სხდომის სტენოგრამა

I ნაწილი

(საგარეო დაზვერვის სამსახურის თავმჯდომარე გელა ბეჟუაშვილი)

2008-10-25 19:47

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის 2008 წლის 25 ოქტომბრის სხდომის სტენოგრამა

სხდომას თავმჯდომარეობს პარლამენტის საგამომიებო კომისიის თავმჯდომარე პ.დავითაია.

თავმჯდომარე. მოგესალმებით ყველას. დიდი მადლობა მობრძანებისათვის. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარეს იმისათვის, რომ მობრძანდა კომისიის სხდომაზე. სანამ სხდომა დაიწყება , ბატონო გელა, თქვენ მზად ხართ თუ არა ითანამშრომლოთ კომისიასთან და თქვენი კომპეტენციის ფარგლებში მოგვაწოდოთ ინფორმაცია ანუ მზადყოფნა თუ არის.

გ.ბეჟუაშვილი. რასაკვირველია, მზადა ვარ.

თავმჯდომარე. დიდი მადლობა. ჩვენი მუშაობის ფორმატი, რომელიც იქნება განსაზღვრული, იქნება დასმული რამოდენიმე კითხვა ბლოკების სახით, თქვენ უფრო რომ მომზადებული იყოთ და რომ გაგვცეთ პასუხები. მინდა ვთხოვო კომისიის წევრებს, ვინც დასვამს კითხვებს, წარმოადგინოს თავისი გვარი, იმიტომ, რომ ხდება ჩაწერა და შემდგომ, რომ იყოს ეს გაშიფრული ყველაფერი და ამ ფორმატში, რომ ვიმუშაოთ. კომისიის წევრებს მივმართავ და მივმართავ ბატონ გელას,

თუ დასმულ კითხვაში იქნება სახელმწიფო საიდუმლოების საკითხები, მაშინ ბატონი გელა ჩვენ გვეტყვის, რომ ეს, ალბათ, რომ სახელმწიფო საიდუმლოებაა.
ეს კითხვები ბოლოსთვის შემოვინახოთ და ბოლოს დავხუროთ სხდომა, რომ არ
მოხდეს სხდომის დახურვა და გახსნა ისევ თავიდან. ამიტომ ეს ფორმატი შევარჩიოთ,
თუ თქვენ წინააღმდეგი არ იქნებით. ე.ი. იცით თქვენ, რომ კომისიის შექმნის მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ შეგვესწავლა აგვისტოს მოვლენები, ის სიტუაცია, რაც დატრიალდა საქართველოში, მაგრამ გამოითქვა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით კომისიის სხდომაზე, რაც აგვისტოს მოვლენებამდე იყო, სიტუაცია იძაბებოდა და იყო გარკვეული მოვლენები და ჩვენ გვაინტერესებს და საზოგადოებას,
ძალიან ბევრი კითხვები არის , ფლობდა თუ არა სახელმწიფო ამ ინფორმაციებს. კერძოდ, საუბარი არის იმაზე, რომ ფლობდა თუ არა დაზვერვის დეპარტამენტი რუსეთის ჯარების საქართველოს საზღვრებთან დისლოკაციის ა ნ კონფლიქტის რეგიონში გადაადგილების, ან დამატებითი ძალების შეყვანა –
მობილიზაციის შესახებ ინფორმაციას და ამ ინფორმაციას აწვდიდა თუ არა ქვეყნის მთავარსარდალს და უშიშროების საბჭოს? აგრეთვე ინფორმაციის თანახმად, რა სახის ჯარები უნდა გამოეყენებინა რუსეთს: საჰაერო, ქვეითი, საზღვაო თუ სახმელეთო და რა ღონისძიებების გატარებას აპირებდა ის საქართველოს ტერიტორიაზე? აგრეთვე საინტერესო არის დაზვერვის დეპარტამენტი ფლობდა თუ არა იმ ინფორმაციას, რას აპირებდა რუსეთის ფედერაცია, დაეპყრო ჩვენი ტერიტორიები თუ მოეხდინა სახელმწიფოს მმართველი გუნდის ცვლილება ძალადობრივი გზით და ძალადობრივი გზით ჩაეგდო ხელისუფლება ხელში? აი, ეს პირველი, ვთქვათ, ბლოკი, რაც შეიძლება კითხვები დაისვას. თუ დაზუსტებისათვის ამ კითხვებთან დაკავშირებით კომისიის წევრებს აქვთ დაზუსტება, ვთხოვ, თუ არა გთხოვთ, დიახ, ბატონო გელა, მაშინ, დიახ, ქალბატონო ხათუნა, თქვენ რომ დაასახელოთ.

ხ.გოგორიშვილი. ბატონო გელა, პრინციპში, ეს შეკითხვები, რომელიც მე მინდოდა დამესვა, ძირითადად ბატონმა პაატამ დასვა. ეს პირველი ბლოკისთვის. უბრალოდ, მე დავაკონკრეტებდი, გქონდათ თუ არა ინფორმაცია თქვენს სამსახურს მასშტაბის შესახებ მოსალოდნელი აგრესიის შემთხვევაში, რა მასშტაბი შეიძლება ჰქონოდა ამ საკითხს? და მეორე, გქონდათ თუ არა რაიმე ინფორმაცია, რა მოტივაცია ჰქონდა საერთოდ რუსეთს, საბოლოო მიზანი სადამდე უნდა მისულიყო? დიდი მადლობა.

ა.მინაშვილი. ერთ დამაზუსტებელ კითხვას დავსვამ, თუ შეიძლება. კონკრეტულად თქვენი ინფორმაციით, როდის შემოვიდნენ რუსული შეიარაღებული ძალები საქართველოს ტერიტორიაზე, თქვენს ხელთ არსებული ინფორმაციით?

თავმჯდომარე. მეტი დაზუსტება არ არის, ხომ? მაშინ, დიახ.

გ.ბეჟუაშვილი. დაზუსტებისთვის თუ შეიძლება, ბატონო აკაკი. როდის შემოვიდნენ, კონკრეტულ თარიღს ვგულისხმობთ იმიტომ, რომ იქ იყო ...

ა.მინაშვილი. თარიღს და დროს.

გ.ბეჟუაშვილი.რამოდენიმე შემოსვლა, რომელიც იყო დაფიქსირებული, ეს არის, ვსაუბრობთ 7–ზე, 8–ზე, ...

ა.მინაშვილი. ბუნებრივია, პირველ შემოსვლაზე ვსაუბრობთ, გასაგებია.

თავმჯდომარე. ალბათ, მე დავაზუსტებ...

ა.მინაშვილი. თქვენი ინფორმაციით, და რა ტიპის შეიარაღებული ნაწილები იყო, იყო ეს რეგულარული არმია, იყო ეს მებრძოლები?

თავმჯდომარე.ბატონო აკაკი, მე მინდა დავაზუსტო ისევ თქვენი კითხვა, აქ საუბარი არის საჯარისო ფორმირებების შემოსვლაზე და არა იმ ოპერაციებზე ,რასაც აპირებდა. ხომ სწორი ვარ? საჯარისო.

ა.მინაშვილი. რა ინფორმაციაც გვაქვს, შეიძლება იყოს, ეს ორივე იყოს, შეიძლება საჯარისო ნაწილი არ იყოს, შეიძლება არაფორმალური ტიპის შეიარაღებული ნაწილები, თუმცა, უფრო მნიშვნელოვანია, ბუნებრივია, რეგულარული არმიის შემოსვლის მომენტი.

გ.ბეჟუაშვილი.შეიძლება ხომ, გიპასუხოთ? მე, ვინაიდან ყველა შეკითხვა, პატივცემულო კომისიის წევრებო, არის ერთმანეთთან დაკავშირებული, მე ჩემს პასუხში ვეცდები რომ ერთიანი, ასე ვთქვათ, თანმიმდევრული პასუხი გაგცეთ და თუ რამე დაზუსტება დაგჭირდებათ, მე მზადა ვარ, რომ ამ დაზუსტებაზეც გიპასუხოთ. ესე იგი, რაც შეეხება ფლობდა თუ არა სამსახური ინფორმაციას მოსალოდნელი აგრესიის შესახებ. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად და ის ინფორმაცია, რომელიც ჩვენ გაგვაჩნდა გვაძლევდა საფუძველს დაგვესკვნა, რომ რუსეთი აპირებდა საომარ მოქმედებებს ინტერვენციას საქართველოს ტერიტორიაზე. ეს არის პირდაპირი პასუხი და მე ვეცდები, რომ

გავამაგრო ეს პასუხი კონკრეტული ინფორმაციით.

როცა ვამბობთ, რომ რუსეთი აპირებდა ინტერვენციას, ეს ნიშნავს, რომ რუსეთის ხელმძღვანელობაში არსებობდა პოლიტიკური ნება საქართველოს წინააღმდეგ რადიკალური ზომების გატარებისთვის. მზადყოფნაში იქნა მოყვანილი ძალები და საშუალებები ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად. დაიგეგმა და ხორციელდებოდა ღონისძიებები შესაბამისი საბაბის შესაქმნელად, პროვოკაციები. ხორციელდებოდა ღონისძიებები ზემოთ აღნიშნული ზრახვების შენიღბვა–გამართლებისათვის. კერძოდ, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად და როდესაც მე ვსაუბრობ ჩვენს ხელთ არსებულ ინფორმაციაზე, ეს არის ანალიზი, როგორც ღია წყაროების, ასევე ოპერატიული წყაროების. მზადდებოდა მასშტაბური პროვოკაციები კონფლიქტის ზონაში დაძაბულობის ესკალაციისთვის. ეს იყო დაგეგმილი ინტერვენციის საბაბი და ჩვენ ვსაუბრობთ ბოლო 2–3 წლის განმავლობაში. ეს არის ის პერიოდი, როდესაც ხორციელდებოდა, რეალურად, რა პროვოკაციები იყო, თქვენ კარგად მოგეხსენებათ. ჩვენ შეიძლება დავუბრუნდეთ ამ საკითხს და კონკრეტულად ვისაუბროთ. შექმნილი იყო ასეთი ესკალაციისთვის აუცილებელი რესურსები, სეპარატისტული ფორმირებების მომზადება, მათი შეიარაღება, წვრთნა, კაზაკთა და ჩრდილო კავკასიელთა ფორმირებების მობილიზება და მათი სხვადასხვა დროს შეყვანა მოკლე პერიოდით ორივე კონფლიქტურ ზონაში. ხდებოდა რუსული ძალების კონცენტრაცია საქართველოს საზღვრების სიახლოვეს და მათი მზადყოფნის უპრეცედენტო გაძლიერება, რეგულარული წვრთნები, აღჭურვა, დაკომპლექტება, ინფრასტრუქტურა. ამის შესახებ ჩვენ ინფორმაციას ვიღებდით და ვაანალიზებდით.

რუსეთის შეიარაღებულ ძალებს მიღებული ჰქონდათ ბრძანება კონკრეტული, დაეწყოთ საომარი მოქმედებები საქართველოს წინააღმდეგ. მართალია, ბრძანებაში მე თითქმის ციტირებას ვაკეთებ ბრძანების "დაძაბულობის ესკალაციის შემთხვევაში წინასწარ შემუშავებული გეგმების მიხედვით". მაგრამ ამ ესკალაციისთვის ყველაფერი კეთდებოდა
ამ ბოლო წლების განმავლობაში და განსაკუთრებით ბოლო თვეების განმავლობაში, რათა ეს ესკალაცია მომხდარ იყო.

2008 წლის გაზაფხულიდან დაიწყო საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტის ზონაში დამატებითი ძალების შემ ოყვანა.
ჩვენ ამაზე კონკრეტული ინფორმაცია გვაქვს თვეების და დღეების მიხედვით. 2008 წლის, უფრო სწორად საქართ ველოსთან დიალოგზე, ფაქტიურად, უარი ითქვა და ეს ჩვენ კარგად ვიცით, მიმდინარეობდა ინტენსიური დიპლ ომატიური კამპანია რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ,
მისი იზოლაცია აგრესორად წარმოჩენის მიზნით, მთელ დიპლომატიურ რესურსს რუსეთი ამისთვის იყენებდა.
ჩვენი შეფასებით, პრინციპული გადაწყვეტილება საომარი მოქმედებების გაჩაღების შესახებ, მიღებულ იქნა ჯერ კიდევ 2007 წლის მეორე ნახევარში. ამას მოჰყვა პროვოკაციის უწყვეტი ნაკადი
თითქმის ერთი წლის განმავლობაში და ამის თქმის საფუძველს მე მაძლევს, მათ
შორის, არა მხოლოდ ოპერატიული და ღია წყაროების ანალიზი,
არამედ ჩემი საქმიანობა, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი,
ბოლო ორწლინახევრის განმავლობაში მე პირადად და უშუალოდ ვმონაწილეობდი რუსეთთან მოლაპარაკებების პ როცესში და ძალიან კარგად ვიცი თუ რა შემოთავაზებები გვქონდა ჩვენ და რა პასუხი მივიღეთ ამაზე.

ბუნებრივია, ჩვენ ყურადღებით ვადევნებდით თვალყურს ამ აღნიშნულ პროცესებს და ეს იყო ჩვენი მოვალეობა
და გაგვაჩნდა შესაბამისი ინფორმაცია, რომელსაც ჩვენ, ჩვენს მომხმარებლებს, ჩვენს მომხმარებლებზე როცა
ვსაუბრობთ, ეს არის, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს პრეზიდენტი,
უშიშროების საბჭო, კონკრეტული სამინისტროები, ძირითადად თავდაცვის სამინისტრო, შინაგან
საქმეთა სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო. იქ იყო რამოდენიმე სხვა უწყება.
შესაბამისი ინფორმაცია როდესაც მიეწოდებოდა, ჩვენ ვაწვდიდით ინფორმაციას ჩვენს მომხმარებლებს.
ეს ინფორმაცია შინაარსობრივად, მე მინდა გითხრათ, მინდა დავყო ორ ნაწილად:
ეს არის პოლიტიკური დაზვერვის ნაწილი ანუ პოლიტიკური ხასიათის ინფორმაცია და არის სამხედრო ხასიათის ინფორმაცია. ამ პოლიტიკური ხასიათის ინფორმაციიდან შეიძლება გამოვყოთ შემდეგი მონაცემები,
რომლებიც მიუთითებენ დაძაბულობის ესკალაციის დინამიკაზე.
რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებაში არსებობდა განწყობა იმის თაობაზე,
რომ საქართველო თავის საგარეო კურსის გამო უნდა დაისაჯოს. თქვენ, ალბათ, მოგეხსენებათ,
მაგრამ ბოლო შეხვედრის დროს, საქართველოს პრეზიდენტის და რუსეთის პრეზიდენტის,
პრეზიდენტ მედვედევის შეხვედრის შედეგად, ეს იყო 2008 წლის ივნისი,
იქნა მიღწეული შეთანხმება საქართველოსთან ურთიერთობების გაუმჯობესების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ. ამ ჯგუფმა ვერ იცოცხლა,
ასე ვთქვათ, ერთ კვირაზე მეტი და იქნა გაუქმებული ერთ კვირაში და, მე ვფიქრობ, ეს მოხდა ზუსტად იმ ძალე ბის ზეწოლით, რომლებსაც უკვე ჰქონდათ გადაწყვეტილება საქართველოსთან ესკალაციის გზით წასვლაზე.

რუსეთის ხელისუფლებაში იზრდებოდა ისეთი ძალების გავლენა, რომლებიც საქართველოს კონფლიქტური
რეგიონების ანექსიის მიზნით აფხაზეთსა და ცხინვალში შეიარაღებული ძალების შეყვანის მომხრენი იყვნენ.
საქართველოს მოსაზღვრე რეგიონებში შეიმჩნეოდა რუსეთის შეიარაღებული ძალების საგრძნობი გააქტიურება
ამავდროულად, რუსეთი საერთაშორისო არენაზე წარმართავდა აქტიურ საინფორმაციო კამპანიას, რომ საქართველოს
ხელისუფლებას და ეს იყო ბევრჯერ ნათქვამი ჩემს მიმართ, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრისთვის, რომ

საქართველოს ხელისუფლებას გადაწყვეტილი აქვს ომის დაწყება და მზადება სეპარატისტულ რეგიონებში საომარი მოქმედებების დასაწყებად. ეს იყო, ასე ვთქვათ, მათი პროპაგანდისტული და საინფორმაციო კამპანია. რუსეთი გეგმავდა ისეთი ტიპის პროვოკაციებს სეპარატისტების გამოყენებით და ის ინფორმაციები დადასტურდა მერე რეალური მოქმედებებით, რომლებიც საბაბს მისცემდა მის ინტერვენციისათვის.

ახლა სამხედრო ხასიათის ინფორმაცია. მე, უბრალოდ, დავაჯგუფე ზოგადად ის, რაც ჩვენ გაგვაჩნია. კონკრეტულად, შეიძლება გამოვყოთ შემდეგი მონაცემები: ე.ი. მონაცემები იმ ძალებზე და საშუალებებზე, რომელსაც რუსეთი გამოიყენებდა კონფლიქტის რეგიონებში საომარი მოქმედებების ესკალაციის შემთხვევაში. ინფორმაცია შეიცავდა მონაცემებს კონკრეტული დანაყოფების და მათი რეაგირების ქრონომეტრაჟის, რაც ნიშნავს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სწავლებების დროს გაკეთებული გათვლების შესახებ. ინფორმაცია წვრთნების, ინფრასტრუქტურის შექმნა-განვითარების და სხვა ღონისძიებების შესახებ, რომელზიც მიზნად ისახავდნენ, რომ რუსეთი სამხედრო თვალსაზრისით მზად ყოფილიყო საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო აგრესიის განსახორციელებლად. საქართველოს მოსაზღვრე რეგიონებში განლაგებულ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს დანაყოფებს და მოყვანილი იყო კონკრეტული დანაყოფები სხვადასხვა დროს, მიღებული ჰქონდათ დავალება საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში შეიარაღებული კონფლიქტის ესკალაციის შემთხვევაში, საბრძოლო მოქმედებებში ჩართულიყვნენ არსებული გეგმების შესაბამისად. აფხაზეთში მუდმივად მიმდინარეობდა მზადება, ამას თვალყურს ვადევნებდით ღია წყაროებიდანაც, კოდორის ხეობაზე შეტევისთვის და ზემო აფხაზეთზე შეტევისთვის, რომელსაც აწარმოებდნენ, კერძოდ, _ და ეს დადასტურებული ფაქტია, რუსეთის სამხედრო დაზვერვის მაღალჩინოსნები და ქვედანაყოფები.

რაც შეეხება, ეს არის ის, თუ როგორ, რა ინფორმაციას ვფლობდით ჩვენ ამ აგრესიის განხორციელებაზე რუსეთის მხრიდან. რა მოტივაცია და რა მიზანი ჰქონდა რუსეთს აქედან გამომდინარე. ახლა, ისევ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით და ზოგადად, რუსეთის პოლიტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ რუსეთს აგრესიისთვის გააჩნდა შემდეგი მოტივები: შეიძლება, ამ მოტივების სრული სია ვერ წარმოგიდგინოთ. ეს არის, უბრალოდ, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის შესაბამისად გაკეთებული შეფასება.

რუსეთი შემფოთებით ადევნებდა თვალს ქართული სახელმწიფოს გაძლიერებას და მისი შესაძლებლობის ზრდის პროცესს. საქართველოს ერთიანობისთვის სასარგებლო პროცესებს, რომელიც ვითარდებოდა კონფლიქტურ რეგიონებში, კერძოდ, ცხინვალის რეგიონში ძალიან პოზიტიურად მიმდინარეობდა დინამიკა აღმშენებლობის და იქ რუსეთი კარგავდა თავის გავლენას და რასაკვირველია, მინდა აღვნიშნო, აქვე, ზემო აფხაზეთში, კოდორის ხეობაში გატარებული, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან გატარებული ღონისძიებები, აქტივობას და წარმატებას სართაშორისო არენაზე საქართველოსი, რაც ისახებოდა, როგორც კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში, ანუ გაყინული კონფლიქტების მოგვარების პროცესის ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობის გაჩენაში, ასევე საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესაძლო პროგრესში. რუსეთი აცნობიერებდა ამავდროულად, რომ კარგავდა გავლენას კონფლიქტურ რეგიონებზე და, ეს, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, ცხინვალის რეგიონი, ხელიდან ეცლებოდა ის ბერკეტები, რომლის შესაძლებლობა ჰქონდა, ზეგავლენა მოეხდინა საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე.

ეს არის მთელი ჩამონათვალი ამ ბერკეტების: ვერ იმუშავა ეკონომიკურმა და ენერგეტიკულმა ბლოკადამ და ზეწოლამ, ვერ მოხერხდა საქართველოში ინვესტიციების შეჩერება, ვერ მოხერხდა საქართველოს პოლიტიკური და დიპლომატიური იზოლაცია, უშედეგო აღმოჩნდა საქართველოს წინააღმდეგ საინფორმაციო ომი და რუსეთს ხელში დარჩა ბოლო ბერკეტი, რასაც ჰქვია ომის ინსპირირება და საქართველოს ომში ჩათრევა. ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი, ფაქტი, პრაქტიკულად, და არა ფაქტორი არის ის, რომ რუსეთის ხელმძღვანელობა ჩქარობდა სოჭის ოლიმპიადისთვის სრულად კონტროლირებადი ბუფერული ზონის შექმნას აფხაზეთში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რუსეთში გაძლიერდა იმის განცდა, რომ სანამ ჯერ კიდევ არსებობდა შესაძლებლობა და მანამ, სანამ კონფლიქტურ რეგიონში რუსეთისთვის ნეგატიური პროცესების განვითარება შეუქცევად ფაზაში არ იყო გადასული, აუცილებლობას წარმოადგენდა რადიკალური ზომების გატარება. ამ კუთხით, რუსეთის მმართველ წრეებში გაძლიერდა განწყობა, რომ ზემოდან აღნიშნულის განხორციელების ყველაზე კარგ გზას კონფლიქტის ესკალაცია და საქართველოს სამხედრო ინტერვენცია წარმოადგენდა. აქვე დავძენ, რომ არსებული ინფორმაცია და მთელი რიგი გარემოებების, გარემოებები მიუთითებენ, რომ ინტერვენციის მიზანი, ამ მოტივაციის შედეგად იყო და კიდევ ვამბობ, არა გვაქვს პრეტენზია, რომ ეს ჩვენი ჩამონათვალი იყოს სრულყოფილი: საქართველოს ხელისუფლების დამხობა, ეს იყო მიზანი ინტერვენციის და რუსეთის მიერ კონტროლირებად რეჟიმში მოყვანა; სახელმწიფოს დანაწევრება; პოლიტიკური და ეკონომიკური და სამხედრო დასუსტება; საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლა და რუსეთის ორბიტაში მოქცევა; ალტერნატიული ენერგომარშრუტების დაბლოკვა ან და მათი კონტროლი; პოსტსაბჭოთა სივრცეში დემოკრატიის პრინციპებზე წარმატებული სახელმწიფოს შენების საშიში პრეცედენტის არდაშვება; ეს არის ის, ის მიზანი და მოტივები, რაც ჩანდა ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად.

რაც შეეხება, აქ რამოდენიმე შეკითხვა იყო კონკრეტული რა სახის ჯარები უნდა გამოეყენებინა რუსეთს საქართველოში. იყო საუბარი მასშტაბზე და მასშტაბებზე. მე აქვე გაგცემთ პასუხს, თუმცა ამ, რა სახის ჯარების გამოყენებას აპირებდა რუსეთი, მე გთხოვდით, რომ ეს ინფორმაცია ბოლოსთვის შემოგვეტოვა და მე მოგახსენებთ კონკრეტულ ინფორმაციას,

ვინაიდან მოიცავს სენსიტიურ ინფორმაციას.

შემოსვლაზე, აგვისტოს რაც შეეხება, რუსეთის ჯარების შემოსვლაზე. ეხლა თქვენ კარგად მოგეხსენებათ და მე მოვისმინე, რომ კომისიის თავმჯდომარემაც და ბევრმა თქვენთაგანმა დააფიქსირეთ, რომ ომი საქართველოში 7 აგვისტოს არ დაწყებულა. რუსეთის ჯარი იყო ჩვენს ტერიტორიაზე და აწარმოებდა ფარულ ანექსიას ამ ტერიტორიების. ეს არ არის მხოლოდ პოლიტიკური განცხადება, ეს გამაგრებული არის მთელი რიგი ფაქტებით ამ ბოლო 3–4 წლის განმავლობაში.

ჩვენი ინფორმაციით, დამატებითი ძალების შემოყვანა საქართველოში დაიწყო ჯერ კიდევ ამა წლის მარტიდან, იგულისმება ძალები, რომლებიც აღემატებოდნენ მანამდე რეგიონში მუდმივად განლაგებული სამშვიდობოების რაოდენობას. ინტენსიური ხასიათი ჰქონდა ჯარების შემოყვანას მაის–ივნისში, მათ შორის, სარკინიგზო ძალები, თქვენ იცით ეს გამხაურებული ფაქტი. კონფლიქტურ რეგიონებში დაფიქსირდა ჯარების სახეობა, სახეობები, რომლებიც საერთოდ არ განეკუთვნებოდა სამშვიდობო მისიის ფორმატს. მათ შორის არტილერია, ჯავშანტექნიკა, სატანკო ნაწილები, სპეცრაზმები, სადაზვერვო დანაყოფები და სხვა.

რაც შეეხება უშუალოდ 7 აგვისტოს. ამ დღეს, დილიდან განხორციელდა, თქვენ იცით, ცოცხალი ძალის და მძიმე ტექნიკის მასობრივი შემოყვანა. ეს ფაქტი დაფიქსირებულ იქნა დილით, 7 აგვისტოს, დილით ადრე, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ და ჩვენ ეს ინფორმაცია მივიღეთ ამ წყაროდან ანუ ეს იყო შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელმაც მოგვაწოდა ინფორმაცია ჩვენი უწყებათაშორისი, ასე ვთქვათ, ინფორმაციის გაცვლის ქსელით. ეს იყო, კერძოდ, 3 საათსა და 41 წუთზე დილით 7–ში და შემდეგი, 3 საათსა და 52 წუთზე, ეს იყო რადიოტექ ნიკური საშუალებებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაფიქსირებულ იქნა, ასე ვთქვათ, სატელეფონო საუბრის შედეგად ტექნიკის გადმოყვა ნა როკის გვირაბით. 7
აგვისტოს, საღამოს, ჩვენი ეს ინფორმაცია დადასტურდა უკვე ჩვენი წყაროებით და 7 აგვისტოს, საღამოს, ჩვენ მივ იღეთ ინფორმაცია, რომ რამოდენიმე ათეული მძიმე სამხედრო ტექნიკა, მათ
შორის, ტანკები, ეხლა ზუსტი რიცხვი ჩვენ არ გვქონდა და ცოცხალი ძალის გადაადგილების შესახებ, მივიღეთ ინფორმაცია როკის გვირაბის გავლით, რომელიც მიემართებოდა ზნაურის და ცხინვალის მიმართულებით.
ეს ინფორმაცია იყო ჩვენს მიერ მოპოვებული და გავრცელებული ინფორმაცია.

ამავდროულად, ქალაქ მოზდოკის სამხედრო აეროდრომი შეივსო თვითმფრინავებს დიდი რაოდენობით და ჩვენ დავაფიქსირეთ 7–ში და ჩვენ დავაფიქსირეთ, მათ შორის, ძალიან საგულისხმო ფაქტია, ქალაქ ივანოვოდან,
ეს არის მოსკოვის ოლქი, საკმაოდ შორს არის კონფლიქტის ზონიდან. მოგეხსენებათ, A–50
ეს არის ავაქსის ტიპის თვითმფრინავი, ავაქსის ტიპის
თვითმფრინავის დაშვება ქალაქ მოზდოკში. ინფორმაცია ჩვენ მივიღეთ 7–ში,
მაგრამ ეს ინფორმაცია ამბობდა იმას, რომ 4–ში და 5–ში. 4,
5 აგვისტოს, ეს თვითმფრინავი იქნა გადმოსროლილი ივანოვოდან მოზდოკის აეროდრომზე.
ეხლა რატოა ეს საგულისხმო, ეს ფაქტი. ეს არის შორეული რადიოლოკაციური დაზვერვის თვითმფრინავი,
რომელიც, მათ შორის, ახორციელებს ცეცხლის მართვას. ცეცხლის მართვას არტილერიის,
ასევე სარაკეტო კომპლექსების.

თავმჯდომარე. 4 – ში იყო ეს.

გ.ბეჟუაშვილი. 4, 5. ჩვენ მივიღეთ ინფორმაცია 7 –ში.
თქვენ მოგეხსენებათ, რომ სადაზვერვო ინფორმაცია ხანდახან მოდის, ასე ვთქვათ, ესე ოპერატიულად ვერ ვიღებ,
მაგრამ 7–ში ჩვენ მივიღეთ ინფორმაცია, რომ უკვე 4–ში და 5–ში, 4,
5 აგვისტოს, ეს თვითმფრინავი იქნა გადმოსროლილი საგანგებოდ ივანოვოდან მოზდოკში.
მას შეუძლია, ამ თვითმფრინავს, მათ შორის 400 კილომეტრის რადიუსით ყველა საფრენი საშუალების, რუსეთის

საბრძოლო ავიაციაზეა საუბარი, მართვა და მიზნების ამოცნობა. ამავე დღეს, ეს უკვე მეორე მიმართულებით, ჩვე ნი წყაროების ინფორმაციით, ინფორმაცია მივიღეთ,
რომ ოჩამჩირის რაიონში დაფიქსირდა ცოცხალი ძალის და სამხედრო ტექნიკის შეყვანა სარკინიგზო ეშელონებით.
ჩვენ გვაქვს კონკრეტული ინფორმაცია თუ რა ტიპის შეიარაღება შემოვიდა.
ეს რაც შეეხებოდა აი, ამ პასუხს კითხვაზე, თუ როდის, რა მოხდა 7–ში.

ეხლა, რაც შეეხება აგრესიის მასშტაბებს. მე მინდა გითხრათ, რომ იმ ინფორმაციის,
საკმაოდ ბევრი ინფორმაციის და დიდი ინფორმაციის ნაკადიც,
რომელიც ჩვენ, როგორც დაზვერვის სამსახურმა მოვიპოვეთ აი, ამ რუსეთის შეიარაღებული ძალების განლაგების, მათი, ასე ვთქვათ, შესაძლო ძალის და გამოყენების შესახებ, იყო საკმაოდ ვრცელი და ჩვენ ოპერატიულად ვაწვდიდით ამ ინფორმაციას ჩვენს მომხმარებელს, ამ შემთხვევაში თავდაცვის სამინისტროს, რომელიც უფლებამოსილია ამ ინფორმაციის, ასე ვთქვათ, შეფასებაზე. ამ ნაკადის ინფორმაციის შეფასება, ეს არის თავდაცვის სამინისტროს პრეროგატივა.

თავმჯდომარე. დავაზუსტებ ბარემ, სანამ თქვენ ამ თემაზე საუბრობთ. აი, მზადდებოდა თუ არა

უმაღლესი თანამდებობის პირებისათვის, როგორც თავდაცვის სამინისტრო, ხომ, ანალიტიკური მასალა მოსალოდნელი აგრესიის შესახებ? თუ მზადდებოდა კონკრეტულად ვის აწვდით ამ ინფორმაციას? და მიეწოდება თუ არა ეს მასალა საგარეო საქმეთა მინისტრს, სახელმწიფო მინისტრს რეინტეგრაციის საკითხებში იმიტომ, რომ ის ჩართული იყო მოლაპარაკებებში და რათა მათი გამოყენება ყოფილიყო მოლაპარაკების პროცესში. აი, ეს პაკეტი თუ მზადდებოდა? და, რა თქმა უნდა, ახლა უშიშროების საბჭოზე არ ვლაპარაკობ, იმიტომ, რომ ეს, კანონდებლობით თქვენ აწვდით ინფორმაციას, ვიცით.

გ.ბეჟუაშვილი. გასაგებია. კი, რასაკვირველია, ჩვენ ვაგზავნით ინფორმაციას არა ერთი მიმართულებით, არამედ სხვადასხვა მიმართულებით საჭიროებისამებრ. ზოგიერთი, ვთქვათ, ტექნიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება ჯარების სახეობების განლაგებას, მათ შეიარაღებას, საგარეო საქმეთა სამინისტროს არ მიეწოდებოდა, მიეწოდებოდა მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს ან შინაგან საქმეთა სამინისტროს, მაგრამ ისეთი ზოგადი საკითხები, როგორიც არის, ვთქვათ, ძალების შემოყვანა, ზოგადად ეს ინფორმაცია, თვითონ ფაქტი, ეცნობოდა ყველა სხვა მომხმარებელს ჩვენი ინფორმაციით. უბრალოდ, რომ აგიხსნათ, როგორ კეთდება ამ ინფორმაციის, ასე ვთქვათ, დახარისხება, ვრცელ ინფორმაციას, როგორც წესი, ჩვენ ვუგზავნით შესაბამის უწყებას, რომელიც არის მომხმარებელი ამ ინფორმაციის და ზოგად ინფორმაციას ჩვენ ვუგზავნით სხვა სამინისტროებს. ეს არის, ასე ვთქვათ, ჩვენთან მიღებული პრაქტიკა. მიუხედავად იმისა, რომ, ასე ვთქვათ, შეფასება მოსალოდნელი მასშტაბის, ასე ვთქვათ, აგრესიის საკმაოდ რთული საქმე იყო ჩვენთვისაც, ალბათ, თავდაცვის სამინისტო თავის აზრს მოგახსენებთ მოგვიანებით. მე მინდა გითხრათ, რომ მარტო ის ფაქტი, რომ, და ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რომ უკვე 9 აგვისტოს, საღამოს, ის დინამიკა და ის შემდგომი დღეების, ის დინამიკა, რომელიც ჩვენ დავინახეთ მკვეთრი ზრდა შეიარაღებული ძალების გამოყენების, ავიაციის, ფლოტის და სადესანტო ძალების და ეს არის ის დღე, როდესაც პრემიერ–მინისტრი პუტინი ჩავიდა ვლადიკავკაზში საგანგებოდ, მეტყველებს იმაზე, რომ აქ იყო მასშტაბის მკვეთრი ზრდა 9 რიცხვის, ასე ვთქვათ, საღამოს შემდეგ. აქ მოხდა, ჩვენი ინფორმაციით, არა მხოლოდ ოპერატიული, არამედ ტაქტიკური გეგმების სერიოზული ცვლილება. ამან განაპირობა ზუსტად, რომ გამოყენებული იქნა ისეთი შეიარაღება საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც ჩვენი ვარაუდით არ უნდა გამოყენებულიყო, ასე ვთქვათ, კონფლიქტის წინა დღეებში. ეს ნიშნავს რას, რომ, ეს მეტყველებს იმაზე, რომ, ასე ვთქვათ, ზუსტი მასშტაბი ინტერვენციის და ზუსტი მასშტაბი აგრესიის ძნელად წარმოსადგენი იყო თუმცა 9–ის შემდეგ სურათი, ასე ვთქვათ, მეტ–ნაკლებად აქედან, ამ გადასახედიდან ჩანს, რომ მოხდა მკვეთრი, მასშტაბის მკვეთრი ზრდა და ხარისხობრივი ზრდა. ეს ჩვენ, ჩვენ ვფლობთ ინფორმაციას, რომ ალბათ, აი, ამ ჩასვლამ პრემიერ–მინისტრის განაპირობაა, ესეთი მასშტაბის და გეგმების მკვეთრი ცვლილება. მე ვფიქრობ, რომ ყველა იმ კითხვაზე, რომელიც დაისვა აქამდე მე გავეცი პასუხი. თუ რამე დაზუსტება არის საჭირო მზად ვარ.

ხ.გოგორიშვილი. ბატონო გელა, თქვენ როდესაც ბრძანებდით, რომ თქვენ ხელთ არსებული ინფორმაციით მოსალოდნელი იყო სამხედრო აგრესია რუსეთის მხრიდან არგუმენტები რომელიც მოიყვანეთ მე ჩავიწერე. ეს არის რომ, ესე იგი, ხდებოდა კონცენტრაცია, მათ შორის კაზაკების და ჩრდილოეთ–კავკასიის მხრიდან შეიარაღებული ფორმირებების. კონფლიქტის ზონაში დამატებითი ძალების შემოყვანა მოხდა და ტარდებოდა წვრთნები საქართველოს საზღვრების მიმდებარე ტერიტორიებზე. თუმცაღა მე მინდა, თქვენთვის და ყველა საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ანალოგიური წვრთნები იგივე, გარდა იმისა, რომ 2008 წლის ზაფხულში ჩატარდა, იყო 2007–ში და 2006–შიც. და ანუ წვრთნები და ეს პერედისლოკაცია რუსეთის მხრიდან მუდვივად ხდებოდა ბოლო 3–4 წლის განმავლობაში ანუ ეს არ იყო თავისთავად უნიკალური მოვლენა. და იყო თუ არა რაიმე განსხვავება თუნდაც ამაში, რა გაძლევდათ იმის საშუალებას, რომ 2008–ში აგრესია გაცილებით უფრო მეტად რეალური იყო, რეალურად იყო მოსალოდნელი ვიდრე მანამდე იმიტომ, რომ იგივე პროცესები მანამდეც ხდებოდა. და რითი იყო, ვთქვათ, ეს აგრესიის წინა პერიოდის მოვლენები უნიკალური სხვა წლის ანალოგიურ მოვლენებთან შედარებით. გმადლობთ.

გივი თარგამაძე. გმადლობთ. რახან ჩვენ პრეისტორიასაც ვიხილავთ, ასე ვთქვათ, ბატონო გელა, მე მაინტერესებს ფლობდით თუ არა თქვენ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით რა მოლოდინები ჰქონდა რუსეთს ბუხარესტის ნატოს სამიტთან მიმართებაში. აწვდიდით თუ არა ამ ინფორმაციას ჩვენი მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლებს და თქვენი ანალიზით რა გავლენა იქონია ბუქარესტში მიღებულმა გადაწყვეტილებებმა მთლიანად პროცესზე. გმადლობთ.

თავმჯდომარე. ბატონ ლევანს.

ლ.ვეფხვაძე. ჩემი პირველი კითხვა არის რაც ბატონმა გივიმ თქვა იმის ბოლო ნაწილის გაგრძელება. თუ იყო თანამშრომლობა ჩვენი პარტნიორი ქვეყნების სპეცსამსახურებთან სწორედ იმ ინფრომაციის გაცვლასთან დაკავშირებით, რომელიც არსებობდა და გქონდათ თქვენ ამ ინტერვენციასთან დაკავშირებით. ეს პირველი კითხვა. და იქედან თუ არსებობდა რაღაცა მსგავსი ინფორმაცია თქვენთვის მოწოდებული.

და მეორე კითხვა, რაც მაინტერესებს კონკრეტულად: თუ არსებობდა კონკრეტული ინფორმაცია ინტერვენციის მიმართულებაზე, საიდან მოხდებოდა ეს ინტერვენცია და ამ ინტერვენციის ვადებზე. თუ ეს ინფორმაცია არსებობდა, მაშინ, აქედან გამომდინარე კიდევ კითხვა - თქვენს მომხმარებლებს, იგივე თავდაცვის სამინისტროს ან შინაგან საქმეთა სამინისტროს ან საგარეო საქმეთა სამინისტროს ეს ინფორმაცია, თუ გახსოვთ კონკრეტული თარიღი, როდის მიაწოდეთ, რა რიცხვში.

თავმჯდომარე.მე დავამატებ კიდევ კითხვებს, ბარემ ერთად რომ გაეცეს. ბატონო გელა, თქვენს იმ მოხსენებაში, იმ

პასუხებზე, რაც მოვისმინეთ, ცალსახად ჩანს, რომ მზადდებოდა ესკალაცია რუსეთის მხრიდან. მაშინ აი თქვენ ფლობდით ამ ინფორმაციას, ხედავდით, რომ სიტუაცია იძაბება და ხდება ესკალაცია, თქვენ პირადად, უშიშროების საბჭოს სხდომაზე გააკეთეთ თუ არა ამ საკითხთან დაკავშირებით მოხსენება და თუ იყო უშიშროების საბჭოზე ამაზე მსჯელობა. (ხმა ადგილიდან) ჰო, თუ ეს ასე იძაბებოდა. და თქვენი აზრით, ახლა, ეს, უშიშროების... თქვენი გადასაწყვეტი არ არის, უშიშროების საბჭო წყვიტავს ამას, მაგრამ აი ძალიან ბევრი შეკითხვაა საზოგადოებაში ამასთან დაკავშირებით: რატომ არ მოხდა საქართველოს უშიშროების საბჭოზე ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის გადახედვა ამ ინფორმაციების საფუძველზე და ახალი საკითხების განსაზღვრა. ან იქნა თუ არა შემუშავებული ამ სიტუაციის განეიტრალების გზები. ერთი სიტყვით, უშიშროების საბჭოზე თქვენი მოხსენების საფუძველზე, თუ ეს მოხსენება იყო, რატომ არ მოხდა ამ საფრთხეების გადახედვის საკითხი. გმადლობთ.

რ.თედორაძე. ბატონო გელა, ახლა, რუსეთი ფაქტიურად ბრალს სდებდა უკრაინას იარაღის მიწოდებაზე საქართველოსათვის. ნუ, ეს ოფიციალურად ვყიდულობდით ჩვენ, თავისთავად ცხადია, მაგრამ ჩვენ თუ ვამახვილებდით ყურადღებას იმაზე, რომ წლების მანძილზე რუსეთიდან უკანონოდ შედიოდა ეს იარაღი იგივე სეპარატისტულ რეგიონებში და თუ ვაწვდიდით ამ ინფორმაციებს იგივე მეგობარ ქვეყნებს და თუ იყო ეს საკითხი დასმული, თუნდაც, საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე.

გ.ბეჟუაშვილი. შეიძლება ვუპასუხო, ხომ? დავიწყებ ქალბატონი ხათუნას შეკითხვიდან. ძალიან კარგი შეკითხვაა. ვინაიდან ჩვენ ჩავატარეთ ბუნებრივია შედარებითი ანალიზი იმ წვრთნების, რომელიც იყო ზუსტად იგივე წვრთნები "კავკაზ–2006", რომელიც ჩატარდა საქართველოს საზღვრების სიახლოვეს. აქ იყო რამოდენიმე ელემენტი, რომელიც ჩვენ გვაძლევდა საშუალებას, რომ ვარაუდისა, რომ რუსეთი ემზადება ინტერვენციისთვის. ჯერ ერთი ჩვენთვის ცნობილი იყო ისეთი დეტალები, რომელზეც მე ალბათ მოგახსენებთ იმ დახურული სესიის ფარგლებში, რომელიც რომელსაც ჩვენ ჩავატარებთ, ვინ აიდან აქ არის ოპერატიული წყაროების ინფორმაცია და იქ არის რამოდენიმე დეტალი, რომელიც ცხადყოფს, რომ წვრთნები რომელიც ჩატარდა "კავკაზ–2008" საქართველოს საზღვრების სიახლოვეს და იმ ძალების მონაწილეობა არა ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქიდან მათი საბრძოლო ასე ვთქვათ გეგმა და ასე ვთქვათ ეტაპების თუნდაც დასახელებები ცხადყოფდა იმას, რომ აქ არ იყო ანალოგიური სცენარი როგორიც ეს იყო 2006 წელს.
მე თუ ნებას მომცემთ ამ ინფორმაციას მოგაწვდით დახურული სესიის ფარგლებში.
რაც შეეხება ბატონი გივის კითხვას რა მოლოდინი ჰქონდა რუსეთს ბუქარესტის სამიტის შედეგებზე.
მე ეს ვთქვი თავიდანვე ჩემი გამოსვლის ნაწილში, რომ ერთ–ერთი ფაქტორი და მოტივაცია რუსეთის ესეთი აგრესიული ქნედებების და პრაქტიკულად გადაწყვეტილების აგრესიაზე იყო ერთ–ერთი ფაქტორი. იყო შესაძლო ასე ვთქვათ პოზიტიური შედეგი ჩვენი ნატოში ინტეგრაციისა. მათ ჰქონდათ მოლოდინი, რომ ბუქარესტის სამიტი მიიღებდა ამ გადაწყვეტილებას თუმცა იქ იყო ინდიკატორები, რომ მთელი რიგი ქვეყნები თავს იკავებდნენ, თუმცა ისეთი განცდა იყო მე ამას ვამბობ როგორც ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი და უშუალოდ მქონდა ამაზე მოლაპარაკებები პარტნიორებთან და რა საკვირველია ერთ–ერთი მოტივაცია იმისა, რომ საქართველოს ევრო ატლანტიკური ინტეგრაცია შეჩერდეს ან დაესვას წერტული იყო ამ ინტერვენციის უკან. ეს იყო მოტივაცია ერთ–ერთი. იქ არის რამოდენიმე ჩამონათვალი სხვა მოტივაციის, მაგრამ ერთ–ერთი მე ვფიქრობ იყო ძალიან ძლიერი ფაქტორი.
რაც შეეხება ბატონი ლევანის კითხვას თუ იყო თანამშრომლობა ჩვენი მეგობარი ქვეყნების სპეც. სამსახურებთან ნუ ჩვენ საერთოდ მუდმივმოქმედ რეჟიმში ვმუშაობთ.
ზოგ პარტნიორტან ვმუშაობთ ძალიან მჭიდროდ ზოგთან ვმუშაობთ, ასე ვთქვათ, იმ გეგმის, რომელიც გვაქვს. ჩვენ პარტნიორებთან მუდმივად ხდებოდა ინფორმაციის გაცვლა და ამ ინფორმაციის შეფასება. ჩვენ, ბუნებრივია, ჩვენი სამსახური არ არის ისეთი ძლიერი სამსახური როგორიც არის, ვთქვათ, სხვა ქვეყნების, სხვა მეგობარი ქვეყნების სპეცსამსახური. ჩვენ გვჭირდებოდა როგორც ტექნიკური დამადასტურებელი დოკუმენტები, ხშირ შემთხვევაში, ფაქტებისა. მაგ. გადაკვეთის ჩვენი ტერიტორიის, საზღვრის, ტექნიკის შემოყვანის და ა.შ. ამიტომ, თანამშრომლობა მიმდინარეობდა და მე ვფიქრობ, რომ ხშირ შემთხვევაში ჩვენი ანალიზი და ჩვენი დასკვნები ერთმანეთს ემთხვეოდა.

თავმჯდომარე. ბატონო გელა, დიდი ბოდიში, რომ გაწყვეტინებთ. დავაზუსტებ, ეტყობა ვერ გამოვთქვი. მათგან თუ იყო ინფორმაცია ამ ინტერვენციის შესახებ მოწოდებული ანუ მათ თუ ჰქონდათ რაიმე ინფორმაცია ამის შესახებ?

გ.ბეჟუაშვილი. დიახ. ამ კითხვაზეც ასევე გაგცემთ პასუხს დახურულ სესიაზე, თუ შეიძლება.

ხო, რაც შეეხება, ეს ძალიან კარგი კითხვაა, მაგრამ ამავდროულად რთული კითხვაა. ვადები და მიმართულება აგრესიის. კონკრეტული დღე და კონკრეტული ვადა ძალიან რთულია ნებისმიერი დაზვერვის სამსახურისთვის, ასე ვთქვათ, ამის დადგენა. თუმცა, მე მინდა გითხრათ, რომ იმ ინფორმაციაში, რომელსაც ჩვენ ვაწვდიდით და რომელზეც მიმდინარეობდა მსჯელობა ჩვე ვვარაუდობდით, რომ სექტემბერ–ნოემბერში მოხდებოდა სიტუაციის ესკალაცია და რუსეთი წავიდოდა ამ ნაბიჯზე. ეს იყო ჩვენი შეფასება, დაზვერვის სამსახურის შეფასება. იქ იყო უწყებები, რომლებიც უფრო ადრე ვარაუდობდნენ და ისინი აღმოჩნდნენ, ასე ვთქვათ, ამ შემთხვევაში მართლები, მაგრამ ჩვენ ვვარაუდობდით, რომ სექტემბერი, ოქტომბერი და ნოემბერი იქნებოდა შერჩეული ზუსტად ის დრო როდესაც მოხდებოდა, ვთქვათ, შესაძებლობა იყო ამ ინტერვენციისთვის. ეხლა, კონკრეტულ დღეს, ბუნებრივია, ვერ

დავასახელებდი და ეს ინფორმაცია მიწოდებული არ მქონდა.

რაც შეეხებოდა განხილვას. უშიშორების საბჭოს სხდომაზე, თქვენ მოგეხსენებათ, ამ თანამდებობაზე მე უშიშროების საბჭოს წევრი არა ვარ, ვმონაწილეობთ უშიშროების საბჭოს სხდომებზე მაშინ როდესაც ამას თვლის საჭიროდ საქართველოს პრეზიდენტი და ხშირ შემთხვევაში ვმონაწილეობ და ვუზიარებ უშიშროების საბჭოს წევრებს ჩემს მოსაზრებებს.

რაც შეეხება ამ კონკრეტულ, ასე ვთქვათ, პერიოდს. არ ვესწრებოდი მე უშიშროების საბჭოს სხდომას ვინაიდან 2 აგვისტოდან ვიმყოფებოდი მივლინებაში, სამუშაო მივლინებაში, მათ შორის, ამ საკითხზე, რაც თქვენ დამისვით, მე ამას მოგახსენებთ მერე და როგორც კი მივიღეთ პირველი ინფორმაცია 7–ში დილით, მე შევწყვიტე მივლინება და დავბრუნდი საქართველოში 8 აგვისტოს ღამე.

თავმჯდომარე. ბატონო გელა, მე დავაზუსტებდი, მე არ ვეხები კონფლიქტის პერიოდს, მე ვსაუბრობ იმაზე, აი, იმ ინფორმაციას, რომელსაც თქვენ ფლობდით ამ აგრესიასთან დაკავშირებით, აი, თქვენი უწყებისგან გამომდინარე თქვენ ფლობდით, რომ ნოემბრისათვის მოსალოდნელი იყო ესკალაცია. მე რატომ დავსვი ეს კითხვა, რომ თქვენ მანამდე, აგვისტომდე, უშიშროების საბჭოს სხდომაზე დააყენეთ თუ არა ეს საკითხი, რომ ეს მზადდებოდა. როგორც დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ.

გ.ბეჟუაშვილი. მე ვესწრებოდი, მოგეხსენებათ, დავინიშნე თანამდებობაზე თებერვლის თვეში, თუ მეხსიერება არ მღალატობს ორ უშიშროების საბჭოზე, ფორმალურ უშიშროების საბჭოზე ვმონაწილეობდი და ეს მოსაზრება გამოვთქვი.

თავმჯდომარე. მაშინ ის კითხვა, რაც კონცეფციასთან დაკავშირებით.

გ.ბეჟუაშვილი. რაც შეეხება კონცეფციას, ძალიან კარგი კითხვაა. კონცეფციის, პირველი, უსაფრთხოების კონცეფცია ჩამოყალიბდა და ვამაყობ ამით, რომ ჩემი, ასე ვთქვათ, ხელმძღვანელობის დროს 2005 წელს უშიშროების საბჭოში, დაზვერვის სამსახური მონაწილეობს სამუშაო ჯგუფში, რომელიც მუდმივად მუშაობს კონცეფციის განახლებაზე. მინდა ვაღიარო, რომ ვერ მოხერხდა დროული ადაპტირება ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის, თუმცა ეს ადაპტირება უნდა მომხდარიყო ახალი საფრთხეების ანალიზის შედეგად. საფრთხეების ანალიზზე სამუშაო ჯგუფი მოქმედებდა, ჩვენ ვმონაწილეობდით საფრთხეების ანალიზის სამუშაო ჯგუფში გაზაფხულიდან, თუმცა ვერ მოხერხდა ადაპტირება ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის, რაც მე მიმაჩნია დაკარგული, ახლა ბოლოს და ბოლოს არაფერი არ არის, რაც შეიძლება მალე უნდა განახლდეს მუშაობა ამ ...

თავმჯდომარე. ბატონო გელა, დავაზუსტებ მაშინ, ვინ იყვნენ ამ სამუშაო ჯგუფის წევრები?

გ.ბეჟუაშვილი. ჩვენს გარდა მონაწილეობდნენ ყველა ძალოვანი სტრუქტურები, საგარეო საქმეთა სამინისტრო, ვინაიდან ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია მოიცავს ასევე ეკონომიკურ, ენერგეტიკულ საკითხებს, იქ მონაწილეობენ წარმომადგენლები ყველა უწყებიდან.

თავმჯდომარე. მუშა ჯგუფში, ბატონო გელა, აი, იმ კონფლიქტის შემდგომი გამწვავების თავიდან ასაცილებლად მიმდინარეობდა თუ არა მუშაობა ალტერნატიული გზების შემუშავებაზე და გეგმები თუ იყო შემუშავებული, ვთქვათ, რომ ეს ალტერნატიული გზები გამონახული ყოფილიყო თუ გამწვავდებოდა სიტუაცია.

გ.ბეჟუაშვილი. ძალიან ლოგიკური შეკითხვაა, უბრალოდ, მე ამაზე პასუხი არა მაქვს, ვინაიდან ჩვენი კომპენტეციის ფარგლებში ვმოქმედებდით. ეს, ალბათ, ეროვნული უშიშროების საბჭოს პრეროგატივაა. ამ ჯგუფის, ასე ვთქვათ, მუშაობის...

თავმჯდომარე. ერთობლივი სამუშაო ჯგუფის სხდომა არ ყოფილა...

გ.ბეჟუაშვილი. ერთობლივი იყო, ჩვენ ვმონაწილეობდით სამუშაო ჯგუფებში, რომლებიც მუშაობდა, ექსპერტები მუშაობდნენ უსაფრთხოების საკითხებზე.აი, ამ სამუშაო ჯგუფებში მიმდინარეობდა განხილვა იმ საფრთხეების შეფასებაზე, რომელიც, რომ ჩვენ გვაქვს საფრთხეების შეფასების დოკუმენტი....

პ.დავითაია. ე.ი. დოკუმენტი მზადდებოდა, რომ საფრთხეები არის?

გ.ბეჟუაშვილი. იქ შესულიყო ცვლილებები იმიტომ, რომ საფრთხეების დოკუმენტი არსებობს. მიღებული დოკუმენტია, უბრალოდ, იქ უნდა შესულიყო შესაბამისი ცვლილებები ამ შესაბამისი ოპერატიული, ასე ვთქვათ, მდგომარეობიდან გამომდინარე. ეს პროცესი მიმდინარეობდა, დეტალები, ალბათ, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანს ექნებოდა.

------- ერთი შეკითხვა მაქვს, ბატონო გელა, აგვისტოს დღეებში, კონფლიქტის დროს ჩრდილოეთ კავკასიაში იქნა

დაკავებული 12-მდე ქართველი, რომელიც, ნაწილი მათგან მსახურობდა რუსეთის შეიარაღებულ ძალებში და თუ გაქვთ ინფორმაცია ამ ადამიანების შესახებ იმიტომ, რომ ისინი, ასე ვთქვათ, დადანაშაულებულები არიან ჩვენს საგარეო დაზვერვასთან ურთიერთობაში.

გ.თარგამაძე. დავაზუსტებ, ბატონო გელა, მე მაინტერესებდა უფრო ბოლო ნაწილი, როდესაც ეს შეკითხვა დაგისვით, ბუქარესტში მიღებულმა გადაწყვეტილებამ, კონკრეტულად, საქართველოსთვის მაპ-ის არმიცემასთან დაკავშირებით, როგორ იმოქმედა პროცესზე, თქვენი შეფასებით.

გ.ბეჟუაშვილი. მე, უბრალოდ, სხვა კონტექსტში. მე ეს აღვნიშნე, როგორც ფაქტი. კი, ბატონო, გაგცემთ პასუხს.

ა.მინაშვილი. ერთს დავაზუსტებ, თუ შეიძლება, ბატონო გელა. კონკრეტულად რომ ვთქვათ, პროგნოზირებდით თუ არა თქვენ, რომ რუსული რეგულარული არმია შემოვიდოდა ფოთში, სენაკში და დასავლეთ საქართველოში კონკრეტულად?

ნ.ლალიაშვილი. ერთი შეკითხვა მაქვს, ბატონო გელა. თქვენ ბრძანეთ, რომ რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვლადიკავკაზში ჩასვლის შემდეგ ტაქტიკური ამოცანები შეიცვალა ანუ 9 აგვისტოს შემდეგ მოხდა ეს ცვლილება. აი, მაინტერესებს, რა კუთხით შეიცვალა ანუ რა იყო ამოცანები, თუ გაქვთ თქვენ ასეთი ინფორმაცია, ვთქვათ, 7 აგვისტოს დილის 3 საათიდან, როცა დაიწყო შემოსვლა, 9 აგვისტომდე და რა გახდა 9 აგვისტოს შემდეგ ძირითადი ამოცანა ანუ პრინციპში, მე მაინტერესებს, თქვენ როგორც ბრძანეთ, თუ ერთ-ერთი ამოცანა და მთავარი ამოცანა იყო ხელისუფლების დამხობა, ეს ამოცანა 7-დან 9 აგვისტომდე იყო თუ 9 აგვისტოს შემდეგ გაჩნდა? გმადლობთ.

თავმჯდომარე. ბარემ ერთ კითხვასაც დავამატებ, მერე... აი თქვენ როდესაც ფლობდით ასეთ ინფორმაციებს და მიმდინარეობდა მუშა ჯგუფში მუშაობა, ცალსახად ჩანს, რომ ცალკე, ვთქვათ, უწყებების ხელმძღვანელების ჯგუფი ჩამოყალიბებული არ იყო და მუშა ჯგუფის, იმას ემყარებოდა, მოხსენებებს, რამაც დროში გაწელა კონცეფციის საკითხი, ეს უკვე ტექნიკური მხარეა, თქვენი პასუხიდან ასე ჩანს. მე მინდა გკითხოთ თქვენ. აი, დაზვერვის დეპარტამენტი აკეთებდა თუ არა ანალიზს,
ვთქვათ, საქართველოს სახელმწიფო მოხელეები ვინც არიან და ან მათი ოჯახის წევრები,
რომლებიც არიან უცხოეთის მოქალაქეები ან დავუშვათ რუსეთის მოქალაქეები, ჰყავთ ოჯახის წევრები.
შეეძლოთ თუ არა მათ გაეტანათ ინფორმაცია სახელმწიფოდან, იმიტომ,
რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ძალიან ბევრი კითხვები არის,
რომ თითქოსდა იგივე, ვთქვათ, ბევრი არის რუსეთის მოქალაქეები და არიან საქართველოში და მათ შეეძლოთ სა ქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ ემუშავათ.

გ.ბეჟუაშვილი. მე ამ ბოლოდან დავიწყებ, ბატონო პაატა, თქვენი ნებართვით, იმიტომ,
რომ ეს არის წმინდა კონტრდაზვერვის პრეროგატივა.
საქართველოს ტერიტორიაზე მუშაობა უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან, ეს არის კონტრდაზვერვის სამსახურის...

თავმჯდომარე. ბატონო გელა, მესმის და ეს კითხვა დასმული იქნება შინაგან საქმეთა მინისტრთან.
აქ არის საუბარი იმაზე, რომ თქვენ, გარე დაზვერვა, ფლობდით თუ არა ინფორმაციას შიდა მუშაობაზე.
იქ იყო თუ არა ჩვენგან ინფორმაცია გასული. თქვენ ხომ კოორდინირებთ მაინც .

გ.ბეჟუაშვილი. რომ მიმდინარეობდა დამუშავება ჩვენი მოქალაქეებისა.

თავმჯდომარე. დიახ, დიახ. აი, იგივე რუსეთის მოქალაქეების,
პირობითად ვიძახი, ვთქვათ, ვისაც იქ გაჰქონდა ინფორმაცია თქვენი წყაროები,
რომლებიც გყავთ, მნიშვნელობა არა აქვს რომელ ქვეყანაში, ღებულობდით თუ არა ამ ინფორმაციას,
რომ აქედან გადინება ხდებოდა თუ არა ინფორმაციის, აი, თქვენი უწყების ფარგლებში და არა კონტრდაზვერვის ფარგლებში, რომელიც, რა თქმა უნდა, მათი მოვალეობა არის, აქ აწარმოონ მუშაობა.

გ.ბეჟუაშვილი. მე უნდა ვნახო ეს ინფორმაცია ოპერატიული ხელმძღვანელის, ესწრება აქ, დამეხმარება ამაში, ამ კითხვაზე პასუხს გაგცემთ ბატონი ლევანის კითხვასთან მიმართებაში, ვინაიდან მნიშვნელოვანია და ისიც დახურ ულ რეჟიმში თუ შეიძლება, ვინაიდან ეხება სერიოზულ საკითხებს. თუ კითხვები აღარ
არის, მე მაშინ დავაჯგუფებდი იმ კითხვებს.

დ.ლორთქიფანიძე. შეკითხვები არის, ბატონო გელა. ჯერ მოგისმენთ, ამ კითხვებზე პასუხის შემდეგ დაგისვამთ იმიტომ, რომ ცოტა მოცულობითია ჩემი შეკითხვები და

გ.ბეჟუაშვილი. კი, ბატონო. ე.ი. რამოდენიმე ინფორმაცია, რაც გადავა დახურულ სესიაზე მონიშნული მაქვს.
რაც შეეხება შკითხვას.
იგეგმებოდა თუ არა ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, იგეგმებოდა თუ არა შეტევა ფოთზე,
სენაკზე და დასავლეთ საქართველოზე. მე, ე.ი. ჩვენ ვფლობდით ინფორმაციას, რომ გალის რაიონში, ოჩამჩირის რ

აიონში და ტყვარჩელის რაიონში მიმდინარეობდა სერიოზული კონცენტრაცია ძალების.
ჩვენ ვფლობდით ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ კოდორის ხეობაზე იგეგმებოდა თავდასხმა და, ასე ვთქვათ, ეს ინფორმაცია გვქონდა. რაც შეეხება ფოთს და სენაკს, კონკრეტული სადაზვერვო ცნობები ამის თაობაზე ჩვენ არ გვქონდა. ის ფაქტი, რომ, ეს უბრალოდ ანალიზის საკითხი არის, ანალიზი ცხადყოფდა, რომ ის სამშვიდობოები, რომლებიც განლაგებულნი იყვნენ და ის პოსტები, რომლებიც განლაგებულნი იქნენ ენგურს აქეთ, იყო რუსეთის პოსტები, ალბათ, იქნებოდა სამიზნე კოდორის აღების ოპერაციის შემთხვევაში, ამას ჩვენ ვვარაუდობდით. მაგრამ სადაზვერვო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ფოთზე, სენაკზე და ზუგდიდზე მოხდებოდა ინტერვენცია, ამის თაობაზე ჩვენ, ჩვენს სამსახურს ინფორმაცია არ ჰქონდა.

ბატონი გივის დაზუსტება. რაც შეეხება ბუქარესტის სამიტს, ეს არის ისეთი კითხვა, რომელზეც მე თავის დროზე მიწევდა ძალიან დიდი დროს, ასე ვთქვათ, დათმობა ჩვენი პარტნიორებისთვის ასახსნელად, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი, რომ მიცემა ვეტოს უფლების, არაპირდაპირდაპირი, რუსეთის ხელში, გაუხსნიდა რუსეთს ხელს. და მაპის არმიცემა, თუმცა მე აქვე მინდა გითხრათ, ჩემი შეფასებით, ბუქარესტში ძალიან მნიშვნელოვანი რამ მოხდა. მოხდა პრაქტიკულად დადასტურება, რომ საქართველო გახდება ამის წევრი და არ მოხდა ამის ტექნიკური აღსრულება, მაგრამ ეს არ არის ჩვენი საუბრის საგანი. ამ გადაწყვეტილებამ და არმიცემამ საქართველოსთვის მაპის, ჩვენი შეფასებით, გაუხსნა რუსეთს ხელი.

ეხლა რამ, ბატონი ნიკა ლალიაშვილის კითხვა. კარგი კითხვა არის ეს, ამ კითხვაზე პასუხი, ალბათ, გამოჩნდება იმ ციფრების მოყვანის შემდეგ, რაც მე მინდა დახურული სესიის დროს მოგახსენოთ, თუ რა იყო 7–8 აგვისტოს და რა მოხდა 9–10–ში და რატომ დავასკვენით ჩვენ, რომ გეგმები და მასშტაბი გაიზარდა. ეს, ეს ჩანს იმ ძალების რაოდენობიდან და იმ რუსეთის შეიარაღებული ძალების იმ ქვედანაყოფების გამოყენებიდან, რომელიც არ იგეგმებოდა, ჩვენი ინფორმაციით, არ იგეგმებოდა გამოყენება 7–ში და 8–ში. ამის ინფორმაცია ჩვენ გვაქვს და ამიტომ თუ ნებას მომცემთ, მე მოგვიანებით მოგახსენებთ ამას და, ამავდროულად, გაგცემთ თქვენს კითხვაზე პასუხს. რა ძალები და საშუალებები გამოიყენებოდა, ზუსტად იქნება იმ ნაწილში, რომელზეც მოგახსენებთ. რამე ხომ არ გამომრჩა? რამე ხომ არ გამომრჩა, კოლეგებო?

თავმჯდომარე.ბატონო გელა, კიდევ ერთხელ, მესმის, რომ რაც შეეხება კონტრდაზვერვას აი, თუ საერთოდ დაზვერვა ფლობდა. აი, რაც მე კითხვა დავსვი მაგასთან დაკავშირებით. ბატონო გელა, შემიძლია პირდაპირ დავაზუსტო ....

გ.ბეჟუაშვილი. დიახ.

თავმჯდომარე.იმიტომ, რომ მე როდესაც, აგერ თან წამოღებული მაქვს კითხვარი, ძალიან ბევრი გამონათქვამები ექსპერტების, ვთქვათ, პოლიტიკოსების ის კითხვები, რაც მოდის ვებსაიტზე ჩვენი პარლამენტის. საუბარი არის იმაზე, რომ საქართველოს მთავრობის წევრები ან ყოფილი მთავრობის წევრები არიან რუსეთის მოქალაქეები, ვთქვათ, იგივე ბევრი პოლიტიკოსი გამოთქვამს საკითხს, რომ, ვთქვათ, იგივე ბატონ კახა ბენდუქიძეზე, რომ არის რუსეთის მოქალაქე და, ვთქვათ, როდესაც აგრესია ხორციელდება, რატომ არიან მთავრობის წევრები, პირობითად ვიძახი, ეს კითხვა საზოგადოებაში არის. ამიტომ ვსვამ ამ, ასეთ კითხვას და მაინტერესებს. ეხლა მე არავის ჩრდილს არ ვაყენებ და არც ....

გ.ბეჟუაშვილი. მესმის.

თავმჯდომარე. აი, ეს ორი. მე საზოგადოებაში დასმულ კითხვებზე მაქვს საუბარი. კეთდებოდა თუ არა ანალიზი ამ მიმართულებით, რომ საზოგადოებამ ამაზე პასუხი იცოდეს.

გ.ბეჟუაშვილი. ჩვენ, კიდევ ვამბობ, ეს არის კონტრდაზვერვითი საქმიანობა. ჩვენი სამსახური პასუხისმგებელია კანონით საგარეო კონტრდაზვერვაზე, რაც ნიშნავს ჩვენს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში კონტრდაზვერვითი საქმიანობის განხორციელებას. ესეთი ინფორმაცია მე, ჩვენ არ გაგვაჩნია, რაც თქვენ ბრძანეთ და კონკრეტული სახელები, გვარები, თუმცა ხელისუფლებაში მუშაობს რამოდენიმე ადამიანი, რომელსაც აქვს ორმაგი მოქალაქეობა, მათ შორის, რუსეთისა.

თავმჯდომარე.აი, ანალიზის საკითხი თქვენი სამსახური ....

გ.ბეჟუაშვილი. ჩვენ, ჩვენ ესეთი ანალიზი არ გაგვიკეთებია.

თავმჯდომარე.დიდი მადლობა. ბატონო გელა, აი, კითხვას დავაზუსტებდი კიედევ, ცალსახად ჩანს თქვენი პასუხებისგან. ეხლა უშიშროების საბჭოს სხდომები დახურული არის და საზოგადოებას ინფორმაცია არა აქვს, მაგრამ ის, რაც ჩვენ აღვნიშნეთ კონცეფციასთან დაკავშირებით, ფაქტიურად უშიშროების და იმ საბჭოზე არ ყოფილა ამაზე მსჯელობა. არ იყო, ვთქვათ, ვერ მოესწრო, შეიძლება ასე ითქვას, აი, მუშა–ჯგუფების მიზეზის გამო. მაგრამ ცალსახად ჩანს, რომ საქართველოს მთავრობის სხდომები არის ღიად და დღის წესრიგი მთავრობის სხდომების არის ღიად და აი, თქვენ, როდესაც ფლობდით ასეთ ინფორმაციას, თქვენ ნახეთ, რომ საქართველოს მთავრობის სხდომამ, მთავრობამ არ ჩაატარა მთავრობის სხდომა ამ საკითხებთან დაკავშირებით, მოსალოდნელ ესკალაციასთან დაკავშირებით. ეხლა დახურული მთავრობის სხდომები არ იყო ამ პერიოდში, რაც საჯარო ინფორმაცია არ იცის ამ ..... ვეყრდნობი. მე მაინტერესებს, თქვენ, როგორც დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ, რა მოიმოქმედეთ ამ მიმართულებით, რომ საქართველოს, ... საქართველოს მთავრობის წევრებს ეწოდებოდათ თქვენგან ინფორმაცია და მუშა–ჯგუფებისაგან,

ვთქვათ, მოსალოდნელ ესკალაციასთან დაკავშირებით. თქვენი აზრი პირადად მაინტერესებს, რატომ არ მოხერხდა მთავრობის სხდომის ჩატარება კონკრეტულ, ვთქვათ, ამ მიმართულებებთან დაკავშირებით. თქვენი პირადი აზრი. თქვენ არ გეხებათ უწყებრივად, აქ არის საუბარი, საზოგადოებაში ავტომატურად დაისმება კითხვა, დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარე, რომელიც ფლობს ამხელა ინფორმაციებს და ხედავს, რომ საქართველოს მთავრობა არ ატარებს სხდომას ამ მიმართულებით, რა მოიმოქმედა დაზვერვის დეპარტამენტმა?

გ.ბეჟუაშვილი. მესმის, ბატონო პაატა. მე, უბრალოდ, მინდა ნამდვილად არ გაგცეთ მარტივი პასუხი ამაზე, მაგრამ, ნუ, ეხლა ეს სცილდება, მართლაც, ჩვენს კომპეტენციას. თუმცა, მე ვიხსენებ რამოდენიმე შემთხვევას. ეს არ ეხებოდა მთავრობის საქმიანობას, ეს ეხებოდა, მაგალითად, იმაზე, რაზეც ჩვენ რეაგირება მოვახდინეთ და მთავრობას გავუგზავნეთ წერილი, ეს იყო ინფორმაცია, კონკრეტული, ინვენსტორის შესახებ, რომელიც სტრატეგიულ სექტორში აპირებდა ინვესტიციის განხორციელებას და მისი, ასე ვთქვათ, ვინაობა, საიდან მოდის ფული, ვინ არის ამ ფულის უკან. ეს რამოდენიმე ინფორმაცია, განსაკუთრებით ენერგეტიკის სექტორზე, ჩვენ მიწოდებული გვაქვს.

კიდევ ვამბობ, ეს იყო ინფორმაცია მომხმარებლისთვის. მომხმარებელი ამ შემთხვევაში იყო ეკონომიკის სამინისტრო, ენერგეტიკის სამინისტრო. თუ როგორ შეფასდა ჩვენი ინფორმაცია, ამის თაობაზე ჩვენ ინფორმაცია არ გვაქვს.

აქ დახურული სხდომის ფარგლებში მე კიდევ მოგახსენებთ რამოდენიმე მოსაზრებას თუ რა უნდა გაკეთდეს, რათა ეს ყველაფერი, ასე ვთქვათ, ხდებოდეს ბევრად უფრო კოორდინირებულად და შეთანხმებულად.

მე გამომრჩა ბატონი რამაზ თედორაძის კითხვა, ბოდიშს ვიხდი. თუ იყო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ იარაღი მიეწოდებოდა სამხრეთ ოსეთს და აფხაზეთს.

რასაკვირველია, აქ არის ძალიან ბევრი ინფორმაცია ამ წლების განმავლობაში, რომელსაც აგროვებდა როგორ შინაგან საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, მათ შორის, ჩვენი უწყებაც. ამაზე ინფორმაცია გვქონდა, ამაზე, მე, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი, დამქონდა ხოლმე ეს ინფორმაცია ხან დისკით, ხან ქაღალდზე და ყველა პარტნიორს ჩვენ ვუკეთებდით ალარმიზაციას იმისა, რომ აი, ეს შეიარაღება, აი, ეს მხარდაჭერა სამხედრო და ფინანსური, საბოლოო ჯამში მიგვიყვანს ჩვენ კონფლიქტამდე და ეს ინფორმაცია მიეწოდებოდათ. თუ თქვენ გაინტერესებთ კონკრეტული ინფორმაციები, მერე, შესაბამისი წესით, შეგიძლიათ გამოითხოვოთ ინფორმაცია და ნახოთ.

დ.ლორთქიფანიძე. ბატონო გელა, მე მაქვს სამი შეკითხვა, აქედან ერთ–ერთი შეკითხვა ეხება თქვენი მუშაობის პერიოდს საგარეო უწყების პირად, მინისტრად. შეკითხვა არის კონკრეტული ხასიათის, მაგრამ მას გააჩნია გარკვეული სამოტივაციო ნაწილი, აქედან ცოტა მოცულობითია და გთხოვთ თქვენს ყურადღებას. ბატონო გელა, თქვენ 1997–2000 წლებში გეკავათ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობა, ხელმძღვანელობდით საგარეო უწყების სტრუქტურულ ქვედანაყოფს, რომლის ერთ –ერთ ამოცანას წარმოადგენს საქართველოს ყველა საერთაშორისო ხელშეკრულების, ხაზს ვუსვამ, ყველა საერთაშორისო ხელშეკრულების, საერთო ზედამხედველობას, ანალიზს, მონიტორინგს და კონტროლს. ხოლო მოგვიანებით 2005 წლის 19 ოქტომბერს თქვენ დაინიშნეთ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად. აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნამდე 6 დღით ადრე 2005 წლის 13 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციის, ეს გახლავთ სამოქალაქო თავდაცვის შესახებ კონვენცია, 1977 წლის 8 ივნისის პირველი დამატებითი ოქმის რატიფიცირება და ამით აიღო ვალდებულება იმ კომპლექსური ღონისძიებების გატარებაზე, რაც დაკავშირებულია სამოქალაქო თავდაცვის ამოცანებთან. კითხვა ,რაღა თქმა უნდა, მდგომარეობს შემდეგში, თუ რაში გამოიხატა აღნიშნული კონვენციით გათვალისწინებული ძირითადი საკითხების შესრულებაზე კონტროლი, მონიტორინგი, საერთო ზედამხედველობა და ანალიზი, მაშინ როდესაც შეგახსენებთ, რომ კონვენციის პარლამენტის მიერ რატიფიცირებული აღნიშნული ოქმის მიხედვით, განსაზღვრულია 15 ჰუმანიტარული ამოცანა და მათი შესრულება, რომელიც მიმართულია იმისკენ, რომ დაიცვას სამოქალაქო მოსახლეობა საშიშროებისაგან და აღმოუჩინოს მათ უშუალო დახმარება, საომარი მოქმედებისა და უბედურების შედეგებისაგან. და აგრეთვე შექმნას აუცილებელი პირობა მათ გადასარჩენად. აქვე საზოგადოებისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება 15–ივე ამოცანა 2 წუთის განმავლობაში ჩამოვთვალო. 1–ლი, ეს გახლავთ შეტყობინება, მე–2, ევაკუაცია, მე–3, თავშესაფრების გამოყოფა და მათი მოწყობა, მე–4, შენიღბვითი ღონისძიებების გატარება, მე–5, სამაშველო სამუშაოები, მე–6, სამედიცინო მომსახურება პირველი დახმარების აღმოჩენით, აგრეთვე რელიგიური დახმარება, მე–7, ხანძართან ბრძოლა, მე–8, საშიში რაიონების აღმოჩენა და მათი აღნიშვნა. მე–9, ... და ამისმაგვარი ღონისძიებების დაცვა, მე–10, სასწრაფო საფრების გამოყოფა და მომარაგება, მე–11, უბედურების რაიონებში წესრიგის აღდგენაში და მის შენარჩუნებაში სასწრაფო დახმარების აღმოჩენა, მე–12, აუცილებელი კომუნალური სამსახურების სასწრაფო აღდგენა, მე–13, მიცვალებულთა სასწრაფო დაკრძალვა, მე–14, დახმარების გაწევა, იმ ობიექტების შენარჩუნებაში, რაც აუცილებლობას წარმოადგენს მოსახლეობის გადასარჩენად და მე–15, დამატებითი დაგეგმვითი ღონისძიებების განხორციელება ნებისმიერი ზემოთ მოცემული ამოცანის შესასრულებლად, რომელიც არ იზღუდება ამით. ეს,რა თქმა უნდა, თქვენს კომპეტენციას სცილდება ,ბატონო გელა, და ამ კითხვის ადრესატი მხოლოდ თქვენ არ იქნებით ,დამერწმუნეთ. მაგრამ იმდენად დიდია მოლოდინი, აღნიშნული საკითხების დეტალური გაშუქების და მოგეხსენებათ, მე მოტივაცია გავაკეთე იმისა თუ თქვენი მინისტრობის პერიოდში უნდა განხორციელებულიყო თუ არა აღნიშნული კონვენციის შესაბამისი ოქმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაზე მონიტ ორინგი, ეს ერთი შკითხვა.

მეორე შეკითხვა თქვენს დღევანდელ სტატუსთან მიმართებაშია და ასევე ეხება საგარეო უწყების ერთ–
ერთ სტრუქტურულ ქვედანაყოფს. კერძოდ.
თქვენთვის როგორც საგარეო უწყების ყოფილი ხელმძღვანელისთვის კარგად უნდა იყოს ცნობილი სამინისტროს ე
რთ–ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფის კერძოდ, უსაფრთხოების,
პოლიტიკისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანის შესახებ ,
რაც გულისხმობს ახალ საფრთხეებთან და გამოწვევებთან დაკავშირებულ გარემოებათა ანალიზს და რეკომენდაცი
ების შემუშავებას. კითხვა შემდეგში მდგომარეობს.
რამდენად ქმედითი იყო აღნიშნული დეპარტამენტის თანამშრომლობა თქვენდამი რწმუნებულ დეპარტამენტთან
და რაში გამოიხატა იგი აგვისტოს მოვლენებამდე, მოვლენების განმავლობაში და შემდგომ,
რაც შეეხება მესამე შეკითხვას , ბატონო გელა, ასევე დიდია მოლოდინი ნებისმიერი უწყების ხელმძღვანელის
მხრიდან, რომელიც აქ იქნება დაბარებული. მე ვფიქრობ, ყველას მიმართ დაისმევა ეს შეკითხვა.
თუ შეიძლება გვითხარით, სად იმყოფებოდით ფიზიკურად 2008 წლის 6 ან 7 ,
ასე ვთქვათ, საომარი მდგომარეობის დაწყებიდან საომარი ვითარების დასასრულამდე.მე არ მომისმენია ,
უკაცრავად , თუ ამ კითხვაზე პასუხი გაცემულია. მაშინ კითხვა მოხსნილია.

თავმჯდომარე. ხო ამ კითხვაზე პასუხი გაცემული არის. ბატონი გელა იმყოფებოდა ...

გ.ბეჟუაშვილი. ეს კითხვა მოხსნილია.

——————— ამ მძიმე კითხვების შემდეგ, ბატონო გელა. ერთი მსუბუქი კითხვა უნდა დაგისვათ, იმიტომ,
რომ საზოგადოებაში ძალიან დიდი მითქმა–
მოთქმაა და ათასი ჭორი არსებობს. თუ გახსოვთ თქვენი მონაწილეობა ბატონი პუტინისა და სააკაშვილის შეხვედ
რის დროს. ბატონმა პუტინმა ცალკე რაღაცა გითხრათ და სულ არის ეს ჭორი და მითქმა–მოთქმა,
რა გითხრათ ასეთი ბატონმა პუტინმა თქვენ პირადად. მაშინ იყავით , სხვათა
შორის, ახალი დანიშნული ამ თანამდებობაზე.

გ.ბეჟუაშვილი. ჩვენ, ალბათ, ბატონი დავითის კითხვებიდან დავიწყებ ძაან კომპლექსური კითხვებია.

——————— ჩემი კითხვა თუ ისეთია შეგვიძლია გადავიტანოთ.

გ.ბეჟუაშვილი. არა, არა, არა ძალიან კარგი კითხვაა და , ესე ვთქვათ გიპასუხებთ.
ვინაიდან საქართველოს მოსახლეობა ადევნებთ თვალყურს ამ იმას, ჩვენს საუბარს.
რაც შეეხება ჩემს საქმიანობას საგარეო საქმეთა სამინისტროში, ბუნებრივია, მე ამ პასუხისმგებლობას არ გავექცევი
, ყველაფერზე ,რასაც მე ვაკეთებდი იქ,
მე პასუხს ვაგებ, თუმცა რაც შეეხება ამ კონკრეტულ კონვენციას დამჭირდება ,ალბათ, დეტალები,
თუმცა მე მინდა გითხრათ. პირველი, საგარეო საქმეთა სამინისტროს ფუნქცია
და პრეროგატივა არის საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისი პროცედურების უზრუნველყოფა, მიტანა
პარლამენტამდე. შემდეგ, პარლამენტის რატიფიკაციის შემდეგ, საგარეო საქმეთა სამინისტრო ატარებს "საერთაშორისო
ხელშეკრულებების შესახებ" კანონის შესაბამისად პროცედურულ საკითხებს. ამ კერძო კონვენციაზე მონიტორინგის
საშუალება, რამდენადაც მე მახსოვს, მე არ ვიცი, მე შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ საგარეო საქმეთა სამინისტროს არ
აკისრია. როგორც წესი, ქვეყანაში გამოიყოფა ორგანო, რომელიც ამა თუ იმ საერთაშორისო ხელშეკრულების
შესაბამისად ხდება ეროვნული კოორდინატორის ორგანო. რამდენადაც მე ვიცი, ამ სამოქალაქო თავდაცვაზე
პასუხისმგებელი ორგანო არის შინაგან საქმეთა სამინისტრო და მანდ შექმნილი არის შესაბამისი, არსებობს შესაბამისი
პრეზიდენტის ბრძანებულება, როგორც მე მკარნახობენ, რომლითაც რეგულირდება ზუსტად ამ კონვენციის
ვალდებულებების შესრულების პროცედურა. აი ეს იქნებოდა ჩემი პასუხი, იმიტომ, რომ, ასე ვთქვათ, მე დეტალებში
მზად არა ვარ, ამ კონვენციაზე რომ ვისაუბროთ აქ, თუმცა, დავინტერესდები და მე შემიძლია სხვა ფორმატში, სხვა
რეჟიმში მოგახსენოთ ჩემი აზრი.

რაც შეეხება, ახალ, ნამდვილად არის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში და ეს იყო ერთ-ერთი
სტრუქტურული ცვლილება, რომელიც ჩემი მინისტრობის დროს განხორციელდა - საგარეოში მოხდა ოპტიმიზაცია
რამოდენიმე დეპარტამენტის, ახალი საფრთხეების და ევროატლანტიკური ურთიერთობების დეპარტამენტი არსებობს,
განსაზღვრულია დებულებით მისი ფუნქციები და ამოცანები, მას აქვს უფრო, ასე ვთქვათ, ჩვენ ვთანამშრომლობთ
საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, უშუალოდ დეპარტამენტთან, მე პირადად, ასე ვთქვათ, ამ ხნის განმავლობაში არ
მქონდა შეხების წერტილები, თუმცა, ჩემი ანალიტიკური ქვედანაყოფის ხელმძღვანელი ძალიან ხშირად სტუმრობს
საგარეო საქმეთა სამინისტროს და აქვს კონსულტაციები სხვადასხვა საკითხებზე. ამიტომ აი ამ დონეზე
ვთანამშრომლობთ ამ ქვედანაყოფთან. მე...რამე თუ კონკრეტული არის აქ, მე შემიძლია, ასე ვთქვათ, დავაზუსტო.

და რაც შეეხება...ჰო, სად ვიმყოფებოდი, ამაზე გაგეცით პასუხი. შემიძლია მეორედ გაგიმეოროთ, ვიმყოფებოდი
მივლინებაში და დავბრუნდი საქართველოში 8 რიცხვში ღამე.

თავმჯდომარე. ბატონო გელა, დიდი მადლობა პასუხებისათვის...აა, კიდევ? ბოდიში? სულ დამავიწყდა.

გ.ბეჟუაშვილი. თუ შეიძლება, ამ კითხვაზეც გაცემთ პასუხს მეორე ნაწილში.

თავმჯდომარე . აა, დახურულ იმაში?

გ.ბეჟუაშვილი. თუ ღია სესია ამოწურულია...

თავმჯდომარე. მე მაქვს ორი შეკითხვა, რომელიც დახურული რეჟიმისაა და ამიტომ მინდა, საზოგადოებამ რომ იცოდეს და პასუხები, ალბათ, დახურულ რეჟიმში. პირველი, ეს არის - ვისი მეშვეობით აპირებდა რუსეთი საქართველოს მიმართ თავისი გეგმების განხორციელებას და თუ ჰყავდა მას მოკავშირეები აქ.

გ.ბეჟუაშვილი. კიდევ ერთხელ, თუ შეიძლება. ვისი მეშვეობით...

თავმჯდომარე. ვისი მეშვეობით და თუ ჰყავდა მოკავშირეები საქართველოსი რუსეთს ამ აგრესიის პერიოდში. ეს კონტრდაზვერვას ეკუთვნის, ეს კითხვა, მაგრამ, ვთქვათ, თქვენ, დაზვერვის დეპარტამენტი თუ ფლობდით ამას. ეს დახურულ რეჟიმში, რა თქმა უნდა, რომ გაეცეს ამაზე პასუხი. მეტი კითხვა მე არა მაქვს. თუ სხვა კითხვები არ არის, მაშინ დავხუროთ სხდომა და გავაგრძელოთ მუშაობა. კითხვები ხომ არ არის? მაშინ მე მივმართავ, ასე ვთქვათ, საორგანიზაციო წარმომადგენლებს, რომ ჩვენ სხდომას ვხურავთ, ტრანსლაცია შევწყვიტოთ და, როგორც გათვალისწინებული არის, მოხდება ჩაწერა დახურული რეჟიმის, მაგრამ იქნება ეს შიდა მოხმარებისათვის და გრიფით "საიდუმლო". გთხოვთ, რომ დაგვტოვოს, დარჩეს მხოლოდ და მხოლოდ ერთი სამდივნოს წარმომადგენელი, რომელსაც აქვს დაშვების უფლება და საორგანიზაციო განყოფილება... გთხოვთ, მომახსენოთ, როდესაც ყველა, როდესაც სიგნალი შეწყდება, რომ ვიცოდე. სიგნალი რომ შეწყდება და რომ უკვე არ გადის, რომ შემდგომ გავაგრძელოთ მუშაობა.

გ.ბეჟუაშვილი. ჩვენ მაშინ ჩამოვაყალიბებთ ახლა იმ კითხვების ნუსხას და გაგიმეორებთ, რომ რამე არ გამოგვრჩეს და მერე შესაბამისად დავიწყებთ.

თავმჯდომარე. პრინციპში... ბატონო გელა, დახურულ რეჟიმში ჯობია, ახლა სიგნალი შეწყდება და დავიწყოთ. სიგნალი შეწყდა თუ არა რომ მაცნობოთ.